

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ საერთაშორისო კინოფესტივალთა ახალგაზრდული კინოფესტივალი „თბილისური აისი“-ს

დებულება

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ (შემდგომში - „სასახლე“) კინოსტუდია „პიონერფილმი“, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზას“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საგანმანათლებლო აქტივობებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდისა და ახალგაზრდული კინოს ხელშეწყობა/განვითარების მიზნით ატარებს XIV საერთაშორისო ახალგაზრდულ მოყვარულთა კინოფესტივალს „თბილისური აისი“ (შემდგომში - „კინოფესტივალი“).

მუხლი 1. კინოფესტივალის მიზანი

1. კინოფესტივალის მიზანია:

1.1. კინოხელოვნებით დაინტერესებული მოზარდებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის წარმოჩენის ხელშეწყობა და წახალისება;

1.2. საბავშვო და ახალგაზრდულ კინოსტუდიებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

მუხლი 2. კინოფესტივალის მართვა

2.1. კინოფესტივალის საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად, სასახლის დირექტორის ბრძანებით, იქმნება საორგანიზაციო ჯგუფი სასახლის შემდეგი სტრუქტურული ერთეულებიდან:

- ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის ერთი თანამშრომელი;
- იურიდიული სამსახურის ერთი თანამშრომელი;
- აუდიო-ვიზუალური მიმართულებიდან ერთი კოორდინატორი;
- პროექტებისა და პროგრამების სამსახურის ერთი თანამშრომელი;
- კომუნიკაციისა და რეგისტრაციის სამსახურის ერთი თანამშრომელი.
- ეროვნული სასახლის დირექტორის გადაწყვეტილებით, საორგანიზაციო ჯგუფის წევრად შესაძლებელია დამატებითი პირ(ებ)ის განსაზღვრა.

2.2. კინოფესტივალის ფარგლებში, სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება, სულ მცირე 3 წევრისაგან შემდგარი ჟიური, რომელიც ამ დებულებით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე გამოავლენს გამარჯვებულებს. სასახლე იტოვებს უფლებას ჟიურის შემადგენლობაში მოიწვიოს უცხო ქვეყნის მოქალაქე.

2.3. კინოფესტივალის ფარგლებში, სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება, სულ მცირე 3 წევრისაგან შემდგარი ახალგაზრდული ჟიური, რომელიც ამ დებულებით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე გამოავლენს

ახალგაზრდული ჟიურის პრიზის მფლობელს. სასახლე იტოვებს უფლებას ჟიურის შემადგენლობაში მოიწვიოს უცხო ქვეყნის მოქალაქე.

მუხლი 3. კინოფესტივალის ძირითადი წესები და საკონკურსო პირობები

- 3.1. კინოფესტივალი ტარდება ქართულ ენაზე.
- 3.2. კინოფესტივალში მონაწილეობისათვის საჭიროა დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვა.
- 3.3. კინოფესტივალი ჩატარდება დისტანციური ან/და არადისტანციური ფორმით, კინოფესტივალის ჩატარების დროისათვის კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციების სრული დაცვით.
- 3.4. კინოფესტივალის ვადებს განსაზღვრავს სასახლის დირექტორი, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.
- 3.5. კინოფესტივალში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ახალგაზრდას, რომლის ასაკი არ აღემატება 21 წელს.
- 3.6. კინოფესტივალზე საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იყოს მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება 10 (ათი) წუთს, ამასთან, განკუთვნილია საბავშვო და ახალგაზრდული აუდიტორიისთვის და დაფუძნებულია საერთაშორისოდ აღიარებულ ღირებულებებზე.
- 3.7. კინოფესტივალში მონაწილეობის მსურველმა კინოფესტივალის განაცხადის შევსებული ფორმა (დანართი №1) უნდა გამოაგზავნონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - pionerfilmtbilisi@gmail.com
- 3.8. განმცხადებელმა განაცხადის გამოგზავნიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში უნდა მიიღოს მეილი განაცხადის მიღების დადასტურების შესახებ. აღნიშნულ ვადაში დასტურის მიუღებლობის შემთხვევაში, განმცხადებელი საკითხის გასარკვევად უნდა დაუკავშირდეს საკონტაქტო პირს მითითებულ ტელეფონის ნომერზე: 597 78 05 01, ეთერ ფარჩუკიძე.
- 3.9. კინოფესტივალის დაჯილდოება გაიმართება სასახლის დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე განსაზღვრულ დროსა და ადგილას.
- 3.10. სასახლე იტოვებს უფლებას, კოვიდ პანდემიიდან ან/და სხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, კინოფესტივალი ჩაატაროს ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მონაწილეების მოწვევის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა კინოფესტივალზე წარადგინონ საკუთარი ნამუშევრები.

მუხლი 4. კინოფესტივალში მონაწილეთა შერჩევისა და შეფასების პროცედურა

კინოფესტივალში მონაწილეთა შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს სასახლის დირექტორი შესაბამისი ბრძანებით, დირექტორის მოადგილეების, სამხატვრო ხელმძღვანელის, აუდიო-ვიზუალური მიმართულების ხელმძღვანელის ან/და სხვა მოწვეული წევრების შემადგენლობით. კინოფესტივალში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარდგენილი განაცხადები

განიხილება შესარჩევი კომისიის მიერ. კინოფესტივალის მონაწილეები შეირჩევა კომისიის წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 5. კინოფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

5.1. კინოფესტივალის ფარგლებში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ა) საფესტივალო სენსები, სადაც წარმოდგენილი იქნება მონაწილე ფილმების საფესტივალო პროგრამა და ასევე სპეციალური, არასაფესტივალო პროგრამა;
- ბ) სპეციალური სენსები და შეხვედრები ავტორებთან და შემოქმედებით ჯგუფთან;
- გ) მასტერკლასები ქართველი და უცხოელი კინოპროფესიონალებისგან;
- დ) ვორქშოფები
- ე) კულტურულ-შემოქმედებითი და შემეცნებით-გასართობი აქტივობები.

მუხლი 6. კინოფესტივალის ნომინაციები და ჯილდოები

6.1. კინოფესტივალის ნომინაციებია:

- საუკეთესო მსახიობი (ბიჭი)
- საუკეთესო მსახიობი (გოგო)
- საუკეთესო რეჟისორი
- საუკეთესო იდეის ავტორი/სცენარისტი
- საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი
- საუკეთესო მონტაჟი
- საუკეთესო მუსიკალური გაფორმება/OST
- საუკეთესო ანიმაციური პრიზი
- საუკეთესო პროგრამა (ქვეყანას)
- მაყურებლის რჩეული ფილმი
- ახალგაზრდული ჟიურის პრიზი
- გრან-პრი (მთავარი პრიზი)

მუხლი 7. ფესტივალში მონაწილეთა დაჯილდოება

კინოფესტივალის ფარგლებში ზოგიერთ ნომინაციაზე შესაძლებელია არ გამოვლინდეს ნომინაციის გამარჯვებული.

მუხლი 8. ფესტივალის პარტნიორი ორგანიზაციები

კინოფესტივალის პარტნიორ ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ დააჯილდოონ მათ მიერ შერჩეული მონაწილეები.

14th International Short Film Festival for Children and Youth

"Tbilisi Sunrise"

National Youth and Children's Palace, Georgia

Festival Entry Form for the Author, 2021

Print this. Fill it out using **block** letters. Sign it. Send it to us on this address - pionerfilmtbilisi@gmail.com

Film Title: _____

Original Language: _____ (if it's not in English, **add subtitles!**)

Name of organization (if any):

Author(s): _____

Address: _____

City: _____ **Country:** _____

Phone: _____

E-mail: _____

Length of the movie: Minutes _____

Age of the author(s) when the movie was completed: _____

Film Category: _____

Author Signature(s): _____

Date: _____

Please note: It is the sole responsibility of the Applicant to secure authorization and permission from the copyright owner(s) of any and all copyrighted content or materials included within the submitted Film. National Palace will not be held responsible for any unauthorized inclusion of any copyrighted content or materials within or relating to the submitted Film, including any content or materials that are or may become the basis for any third-party claims for copyright infringement.

ნორჩ კინომოყვარულთა XIV საერთაშორისო კინოფესტივალი

„თბილისური აისი“

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, საქართველო

სააპლიკაციო ფორმა, 2021

ყველა ველის შევსება სავალდებულოა

ფილმის სათაური: _____

ორიგინალი ენა: _____ (თუკი ფილმი არაა ინგლისურენოვანი,
აუცილებლად დაამატეთ სუბტიტრები ინგლისურ ენაზე!)

ორგანიზაციის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): _____

ავტორი(ები): _____

მისამართი: _____

ქალაქი: _____ ქვეყანა: _____

ტელეფონი: _____ ელ.მისამართი: _____

ფილმის ხანგრძლივობა: წუთი _____

ავტორ(ებ)ის ასაკი, როდესაც ფილმზე მუშაობა დასრულდა: _____

ჟანრი: _____

ავტორის(ების) ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

*შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი გამოთქვამს ფესტივალზე
წარმოდგენილი ნამუშევრის საავტორო ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით
პრეტენზიას, ავტორი ვალდებულია იმდაგვარად უზრუნველყოს ამ საკითხის
დარეგულირება, რომ ზიანი არ მიადგეს სასახლის ინტერესებს.*